ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ხუთშაბათი
8 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეეძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 193 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 193

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ერმალოზ მოსეს ძე ცქიტიშვილი და მეუღლე მისი მარო დავით მზეიძის ასული შვილებით: ნიკოლოზ, დავით, თამარ, მოსე და ვლადიმერით აცხადებენ, რომ მათის დაუვიწყარ ქალიშვილის—ქუთაისის კერძო გიმნაზიის მეხამე კლასის მოწაფის

ელენე ერმალოზის ასულის ცქიტიშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ოდესკურის სასაფლაოზედ პარასკევს, 9 ოკტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე. მსურველთ შეუძლიანთ მობრძანდენ მეორე ალექსანდროვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, საიდანაც წაბრძანდებიან სასაფლაოზე.

1915 წ.
ოკტომბერი
8
ხუთშაბათი.

ანონსი:
მზადდება
ლ. ანდრეევის—„ბაუდიამუს“,
[illegible]—„ჟაჟალიბი“.

წარმოდგენა № 5.

„ქართული დრამა“.
ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

სახელმწ. სადგომი.

4 მ., თარგ. მ. მარჯანიშვილისა.
ავტორი ვიქ. რიშკოვი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მონაწილეობს მთელი დასი.
რეჟისორი **შალვა დადიანი.**
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—1

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი **ვ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის** **ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათიდან, 5 ოკტომბრიდან ახალი პროგრამა

ტყვე ოსმალები კუნძულ ნარგენზე.

სულგრძელი მოხეტიალე.

დრამატ. ეტიუდი 2 ნაწ. მსახიობ სენიორეს მონაწილეობით.

გასაქირავებელი ოჯახი, მხიარული კომედია ორ ნაწილათ.

ანონსი: ხუთშაბათიდან ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი, მოსკოვის ცნობილ მსახ. ი. ი. მოზჟუხინისა და რიდინის მონაწილეობით, ნათამაშევ პიესის **ნიკოლოზ სტავროგინი.** 6 ნაწილათ. თ. მ. დოსტოევსკის თხზულებიდან (ეშმაკები).

„სინათლის“ საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მასალები გამცთება სწავლობს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან **საკანდიტრო**

„რეიმსი“ და „გრანდ-კაფე“

ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით. 8—

სუშალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძე**-ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პეტროგრადი. 5 ოკტომბერი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. რიგის ყურის რაიონში მდ. ააზე, მიტავის ქვემოდ მტრის ჯარის ნაწილები შერცოგსდორფის მიდამოებში გადმოვიდნენ, მაგრამ მალე უკუგდებულ იქნენ მდინარის იქით. დვინის რაიონის პირზე გუშინდელ მოგერებულ იერიშების შემდეგ, მტერს მთელი დღის განმავლობაში მოქმედება არ გამოუჩენია. მხოლოდ სოფ. პობელიანსთან მათ ორჯერ განიზრახეს ჩვენი განდევნა დაპყრობილ შანძილის სანგრებიდან, მაგრამ ორივე იერიში მოგერებულ იქნა. საარტილერიო სროლა გრძელდება. დემმენისა და დრისვიატის ტბებს შუა ბრძოლა არა სცხრება. გერმანელები დიდის ზარალით განდევნილ იქნენ პოზიციებიდან სოფ. ნიურვიანცის ჩრდილოეთით (დრისვიატის ტბის სამხრეთის კიდე). ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ტყვიის მფრქვეველნი. ზედა ნემანზე, დელიატინის ზემოდ, ჩვენ ბრძოლით დავიპყარით სოფ. ზნერსი. პრიპიატის სამხრეთით მდ. სტრიის შუა მიმდინარეობაზე, ჩვენმა ჯარმა გუშინდელი დღის განმავლობაში დიდი გამარჯვება მოიპოვა. რაფაელოვკის ქვემოდ, სოფ. სოვეშჩიცის დაპყრობის დროს, ჩვენ დავატყვევეთ 13 აფიცერი, რომელთაგან ორა ბატალიონის უფროსია, და 500 მეტი ჯარის-კაცი, ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები. ჩვენი ცხენოსნების ნაწილი მტერს მიესია სადგურ პოდჩერევიცეს რაიონში, რაფაელოვკის დასავლეთით; ჯერჯერობით აქ დატყვევებულია 30 აფიცერი და 1000 ჯარის კაცი, აგრეთვე ტყვიის მფრქვეველები. ჩარტორისკის ქვემოდ სოფ. კოზლინიში აგრეთვე ჩვენ დავიპყარით. ერთსა და იმავე დროს შეტევით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ჩვენმა ჯარმა დაიპყრო სოფ. ნოვოსელკი, ხტირზე, ჩარტორისკის ზემოდ და მისი სახიდო სიმაგრეები. კონტრ-იერიშის მოგერების შემდეგ ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა, 800 ტყვე გერმანელი და ავსტრიელი, ყუმბარების მტყორცნელი და სატელეგრაფო ქონება. გუშინ განთიადისას ჩვენი ჯარი შეიჭრა სოფ. კულიკოვიჩში. სოფ. ნოვოსელკის ზემოდ დავატყვევეთ 6000 ჯარის-კაცი, ხელთ ვიგდეთ ბევრი ტყვიის მფრქვეველი და ყუმბარების მტყორცნელები.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

3 ოკტომბერს კავკასიის ასპარეზზე შეტაკება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 6 ოკტომბერი. 4 ოკტომბრის წინა ღამით ჩვენი ჯარები შეიჭრნენ სოფელ შერიში და აიძულეს გერმანელები სოფელი დაეტოვებიათ. იმავე ღამეს ერთმა ჩვენმა მზვერავმა რაზმმა სერვეჩის მარცხენა ნაპირზე მტრის სადარაჯო პუნქტზე იერიში მიიტანა, დახოცა 7, დაატყვევა ერთი. მტერი ამ ფრონტზე განაგრძობს გამსკდომ ტყვიების სროლას. ლოგიშინის ახლო 3 ოკტომბერს ჩვენმა არტილერიამ მარჯვეთ ესროლა მტრის მფრინავს და აიძულა ჩვენი ჯარების ხაზზე დაშვებულიყო. ჩვენი მზვერავების ერთმა ჯგუფმა გაანადგურა მტრის სადარაჯო პუნქტი. სოფელ ტუხოვიჩის ახლო, ხელთ იგდო 8 გერმანელი. მეორე ჯგუფი თავს დაესხა გერმანელთა 20 მზვერავს, რომელნიც შორის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულიყვნენ, დაამარცხეს და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს. 3 ოკტომბერს ოგინის არხის რაიონში ბრძოლების დროს გერმანელთა კავალერიის პოლკი ჩვენ შრაპნელთა ქვეშ მოექცა და გაფანტეთ. ერთმა ჩვენმა სახელოვანმა პოლკმა თოფის გაუსროლათ მედგარი თავდასხმით დაიპყრა ძლიერ გამაგრებული პოზიცია სოფელ სოვეშჩიცის ახლო. დავატყვევეთ მტრის ორი ბატალიონის უფროსი, 11 აფიცერი და 1000 მეტი ჯარის კაცი, ბრძოლა გრძელდება.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პარიზი. 5 ოკტომბერი. ბელგიის ცნობა: მტერი ხანგამოშვებით ესროდა ჩვენ პოზიციებს. ჩვენი ცეცხლით დავაქციეთ მტრის სადარაჯო პუნქტი.

პარიზი. 5 ოკტომბერი. საღამოს ცნობა: ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელებმა დაიკავეს ტილოლუას დიუსესიეს და სუშეს ხეობის თხრილები და იერიშის მიტანას აპირებდნენ, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ და ტყვიისმფრქვეველებმა ნება არ მისცეს მტრის თხრილებიდან გამოსულიყო. სომის სამხრეთით ბაანაშის და ხენტლეოკადის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ჩვენს სასარგებლოთ. ენის მარცხენა ნაპირზე პომიეს სამხრეთით ჩვენმა პატრულებმა მტრის რაზმი ამოიჩინეს და დაატყვევეს. შამპანში მტერი განაგრძობდა ძლიერ საარტილერიო სროლას ტაგიურის გორაკზე და ლაგუტის ხრამზე, ჩვენ ცეცხლითვე ვუპასუხეთ და მტრის ფრონტის უკან დიდი საომარი საგნების საწყობი ავაფეთქეთ. ვოგეზებში შრაპმენელის მწვერვალებზე მნიშვნელოვანი ბრძოლები ხდება ხელით სასროლი გრანატების შემწეობით, გარტმანის ლერკოპფისა და ლატიურის ველზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲙᲔᲜᲖᲔᲜᲘ?

„რუსკ. ვედ“. კაჩანოვი არკვევს თუ სად არის ამ ჟამათ მაკენზენი. ის სწერს: რამოდენიმე ხანია მაკენზენის კვალი თითქო დაიკარგა, მისი არმია (16 დივიზია ცენტრში, 10 დივიზია მარცხენა ხოლო 8 დივიზია მარჯვენა ფლანგზე) კიდევ აგრძელებდა შეტევას პანსკის კენ და დღედა ღამ საშინელ ცეცხლს ანთებდა არტილერიიდან, მაგრამ ყველა ამის თითქო არ ერეოდა მაკენზენის ხელი. ზოგმა ეს ახსნა ისე, თითქო მაკენზენი „სულს ღებულობს“. შემდეგ გამოირკვა, რომ ავსტრიის ჯარები გაჩნდენ იქ, სადაც მაკენზენი ქვეყანას საშინელებას გვრიდა.

ამავე დროს „ნეიტრალურ“ პრესაში გაისმა ხმა, თითქო მაკენზენი სადღაც გაგზავნეს. ბევრი სტრატეგი ფიქრობდა, რომ მაკენზენი სერბიის ფრონტზე გაგზავნეს, ხოლო სხვები კი იჩქაროდენ დასავლეთზე ბრძოლის გამოცოცხლება მისთვის მიეწერათ.

საქმე იყო, რასაკვირველია, არა იმდენათ იმაში, სად იყო მაკენზენი, არამედ მის ჯარში, რომელიც ყველგან გადამწყვეტ როლს თამაშობს. ყველა ეს შესაძლებელს ხდიდა, რომ დაიწყო რაღაც დიდი გადაჯგუფება გერმანიის ჯარებისა,

. . . . . .

გამოირკვევა იმის, თუ რამდენათ ძლიერი იქნება ახლად გადაჯგუფებული ჯარი, მეტად ძნელია, მაგრამ ამ შემთხვევაში

არის ნიშნები, რომ ეს ძალა შესდგება არა ნაკლებ სამ-ოთხ კორპუსისაგან.

ახლო მომავალში მოსალოდნელია ლუცკ-როვნოს რაიონში მტრის ძლიერი შემოტევა და მაშინ არა თუ მოინახება მაკენზენის კვალი, არამედ შეიძლება სადღაც კოველ-სარნის ხაზის უფრო სამხრეთით თვითაც გამოჩნდეს.

რათ მიიჩქარიან ოსმალეთისაკენ?

ეხლა ეჭვი არავის ეპარება, რომ სერბიაში შესევით, ავსტრო-გერმანელებს სურთ სერბია-ბულგარეთით გზა გაიკაფონ ოსმალეთისკენ და მით დაღუპვას გადაარჩინონ დარდანელი და კონსტანტინეპოლი. მაგრამ მარტო ამ ფაქტით როდი აიხსნება გერმანელების ამ დიდი ოპერაციის მიზანი, მართალია სრუტეების დახურვა რუსეთისთვის მეტად საძნელოა და მის ეკონომიურ ცხოვრებას საგრძნობ დაღს აჩენს, მაგრამ მარტოამისთვის ავსტრია-გერმანელები არ გამოიღებენ ასეთ უდიდეს მსხვერპლს. ამგვარათ გერმანელების მიზანია არა მარტო სრუტეების დახურულათ შენახვა, არამედ სულ სხვა რაღაც დიდი რაც არც ისე ძნელი მისახვედრია.

გერმანიას რათაც უნდა დაუჯდეს გამარჯვება უნდა მოიპოვოს, ამისთვის კი მას სჭირდება ახალი ძალები, რომელსაც ის ვერ მონახავს ვერც გერმანიაში და ვერც ავსტრიაში. აი, სწორეთ ამ ახალ ძალას დაეძებს გერმანია ოსმალეთში.

მართლაც, ოსმალეთში მრავალი ხალხია, მან ყველა მებრძოლ მხარეებზე ნაკლები მსხვერპლი გაიღო და შეუძლია კიდევ დიდძალი ჯარის გამოყვანა. თავისი საკუთარი ძალით კი ოსმალეთს არ შეუძლია ახალი ჯარების შეიარაღება. ამისთვის მას არ ყოფნის არც სამხედრო სურსათი და არც საკმაო აფიცრები ყავს. აი, ამ საქმეში სურს დაეხმაროს ოსმალეთს გერმანია. მისი მიზანია კონსტანტინეპოლამდი მისვლა, ახალ ჯარების შედგენა, მათი ევროპიულათ შეიარაღება და ევროპაში გადმოყვანა.

ამ ჯარით გერმანია მრავალ ადგილას ისარგებლებს. შესაძლობელია, რომ მის გეგმაში შედის ორგანიზაცია ახალ, უფრო ძლიერ ექსპედიციის ეგვიპტესკენ, რომ ამით ინგლისის ჯარები დააბანდოს. უფრო შესაძლებელია, რომ ახალ ჯარს მიანდობენ კავკასიაზე გალაშქრებას, რომ ამით რუსის ჯარის უმთავრესი ნაწილი ამ ფრონტზე მიიტყუონ. შესაძლებელია აგრეთვე მესამე მოსაზრება, რომ გერმანია ოსმალეთის ჯარს შიდა ევროპაში გადაიყვანს და იქ აბრძოლებს გერმანიის ჯარებთან ერთად. რომელ ამათგანს აირჩევს გერმანია, ამის დღეს გადაწყვეტა არ შეიძლება, ხოლო აშკარაა, რომ ის სამივე გზას დაადგება.

რასაკვირველია ასეთი გეგმის შესრულება მეტათ ძნელია, მას სჭირდება დიდი დრო. ახალი გალაშქრება მეტათ რთული იქნება, საითაც უნდა იქნეს მიმართული ის. ავიღოთ თუნდა კავკასია, ან ეგვიპტე. აქ გერმანულათ მოქმედების გაფართოვება არც ისე ადვილია. ამგვარათ გერმანია კიდებს ხელს ახალ საქმეს, რომელიც დაკავშირებულია მრავალს ტეხნიკურ დაბრკოლებასთან და ითხოულობს დიდ დროს, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მოკავშირენი ვერც ისე მალე დაადგებიან შეტევის გზას და გადამჭრელ ბრძოლის მიცემა გაუძნელდებათ, მაშინ გერმანელები მოასწრებენ თავის გეგმის შესრულებას და ევროპის ომი ახალ ხანაში გადავა. მართალია ძნელია ეს საქმე და გერმანელები მას ხელს არ მოკიდებენ, მაგრამ უფრო ადვილი საშუალება მიზნის მისაღწევათ მათ განკარგულებაში არ არის.

ყოველ შემთხვევაში ერთი ახლაც აშკარაა. გერმანელებს სჭირდებათ ცოცხალი ძალები და ეს მონახეს ოსმალეთში. ისინი ეცდებიან გაბედული მუქარით კავკასიისა და ეგვიპტეს ფრონტზე დააბანდონ მოკავშირეთა ჯარები და მით ძალა შეასუსტონ. გერმანელები არ იქნებიან გულზე ხელ დაკრეფილნი და არ დაუცდიან იმ დროს თუ როდის მოიკრებენ მოკავშირენი ძალას და საერთო შეტევის გზას დაადგებიან. (რ. გ.)

კოპენჰაგენიდან „რუსკ. ვედ." საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს, რომ სალონიკიდან მოსული ცნობით, ბულგარეთის მთავრობას განზრახვა აქვს დასცალოს ყველა სოფელი, რომელიც შავი ზღვისა და ეგეის ზღვის ნაპირებზეა. ბულგარეთის პრესა ადასტურებს იმ ცნობას, რომ ოსმალეთი დაპირდა გაგზავნოს ბურგასსა და ვარნას 50000 კაცი. ამ ჯარით ფერდინანდს სურს ბულგარეთისა და რუსეთის ჯარებს შორის მოსალოდნელი მწვავე შეტაკება გააფრთხილოს.

მთავრობის აზრი.

პეტროგრადის დიპლომატიური წრეები ირწმუნებიან, რომ რუსეთის მთავრობა საჭიროთ სცნობს ბულგარეთს ომი გამოუცხადოს. გარეშე საქმეთა მინისტრი, საზონოვი ამ დღეებში ხელმწიფე იმპერატორის ბანაკში გაემგზავრება. (ვ. ვ.)

ბულგარეთი და რუმინია.

როგორც ბუქარესტიდან გაზეთებს აუწყებენ, ბულგარეთმა რუმინიის საზღვრებზე სულ მეორერიცხოვანი ჯარი დასტოვა: ალბათ, რუმინიისგან არაფერ საფრთხის არ მოელიან.

ხუნხუზების საფრთხე.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ შორეულ აღმოსავლეთში გერმანიის აგენტები რუსეთის საწინააღმდეგოთ ენერგიულ მოქმედებას ეწევიან: მათ ხუნხუზების მრავალი ბრბო შეაიარაღეს, რომელთაც უფროსებათ და წინ მძღოლებათ ორი გერმანელი აფიცერი დაუნიშნეს. ხუნხუზთა ბრბოები ამ ქამათ მოქმედებენ მდ. ამურის ნაპირებზე და ხუნგარის შესართავში. ხუნხუზები რუსეთიდან დაბრუნებულ ჩინელებს გზებში ხვდებიან და რაც კი რამ ოქრო მოეძევებათ მათ, ართმევენ. ხუნხუზებმა სამი კაცის ოქროს სამრეწველო უკვე გაძარცვეს. (კ. ს.)

სერბიის ფრონტზე.

როგორც პარიზის გაზეთს აუწყებენ, სერბიაში ტიმოკის ველზე ბულგარელები უტევენ სერბიელებს, რომლებიც, როგორც ამბობენ, დიდი თავდადებით და წარმატებით უმკლავდებიან და ბულგარელთა ლაშქრის წინ მსვლელობას აფერხებენ.

ბულგარეთის წინააღმდეგ.

პეტროგრადის დიპლომატების აზრით, მოკავშირეებმა (ინგლისმა და საფრანგეთმა) ომი იმიტომ გამოუცხადეს ბულგარეთს, რომ მათი ჯარი, რომელიც ბალკანეთზე გადასხეს, უკვე საპირისპიროთ შეხვდა ბულგარეთის ჯარებს და იძულებული ხდება მათ შეეტაკოს. შეტაკება ყოველ წამს არის მოსალოდნელი.

— „უტრო რ. ს." გადმოცემით, კი საფრანგეთის ჯარს უკვე ჰქონდა შეტაკება ბულგარეთის ჯართან გევგელთან.

მორატის აზრი.

გერმანიის სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ სერბია იძულებულია მარტო გაუმკლავდეს მოწინააღმდეგეთ, ვინაიდან საფიქრებელია, რომ მისი დროით მიშველება ოთხთა შეთანხმებამ შესძლოს.

თავდასხმის შედეგი.

როგორც გერმანული გაზეთები იუწყებიან, ამ უკანასკნელ თავდასხმის დროს ცეპელინებმა ინგლისის პარლამენტი დიდათ დააზიანეს თურმე.

კამენდანტის გასამართლება.

ვიტებსკიდან „რან. უტროს" ატყობინებენ, რომ დვინის სამხედრო სასამართლომ კოვნოს ციხე—სიმაგრის კამენდანტის, გრიგორიევის საქმე გაარჩია. ბრალდებულს ასამართლებდნენ იმ სტატიის ძალით, რომლითაც სიკვდილით სასჯელია გადაწყვეტილი. აბრალებდნენ, რომ მან ციხის დასაცველათ ყოველი საშუალება და ზომა არ იხმარა, რაც კი შესაძლებელი იყო. მაგრამ სასამართლომ ბრალდების შემამსუბუქებელი გარემოებაც დაინახა ამ საქმეში და გრიგორიევს თხუთმეტი წლის კატორღა მიუსაჯა.

დვინის ნაპირებზე.

„რეჩის" სიტყვით, ვერც ხანგრძლივმა ბრძოლებმა და შეუწყვეტელმა სისხლის ღვრამ დვინის ნაპირებზე და ვერც აუარებელ ჰუმბარა-ტყვია-წამლის ფრქვევამ გერმანელების მდგომარეობა ვერ შესცვალა, ვერ გააუმჯობესა; გამოირკვა მხოლოდ, რომ იმ ვრცელს მანძილზე სმარგონიდან რიგამდე ისინი საკმაოთ მომზადებული ყოფილან; ფრონტის ბევრ ალაგას გერმანელები იძულებული გახდენ თავდაცვის ტაკტიკას დასდგომოდენ.

გერმანელთა ლაშქარი უკან იწევს.

ნიშიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ სერბიელების ჯარმა ბელგრადის და სტრუმიცის რაიონები დასტოვა და ახლა თავის თავდასაცველ ბრძოლის ხაზზე ირაზმება.

რუსეთ-გერმანიის ფრონტზე.

ჟურნალ „რუსკ. ინვალიდ." აზრით, ყველაფრიდან სჩანს, რომ გერმანელები რუსეთის ფრონტზე თითქო საპოზიციო ბრძოლას შეუდგენ. მიზეზი ასეთი ცვლილებისა, ჟურნალის სიტყვით, იმაში იმალება, რომ რუსის ჯარმა ნემეცებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ამ ხაზზე.

რუმინია.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ გაზეთ „ადევერულის" გადმოცემით, რუმინიის მინისტრების საჩქარო კრება გაიმართა ბრატიანუს თავჯდომარეობით. ირწმუნებიან, რომ რუმინია ოქტომბერში ოთხთა შეთანხმების მხარეზე უთუოთ გამოვა.

ბულგარეთი ალყაშემორტყმულია.

ინგლისის სამხედრო ფლოტის გემები ბულგარეთის ნავსადგურს, დედეაგაჩს დაუპირდაპირდენ და გზა შეუკრეს, ბლოკადა გაუკეთეს. ასე რომ ბულგარეთი ახლა ეგეის ზღვით ევროპაზე მოწყვეტილია.

აჯანყება ბულგარეთში.

ზოგიერთები ამბობენ ვითომ ბულგარეთში ქალაქ ლოვჩოში ჯარის [illegible] აჯანყდენ. მოხდა შეტაკება და სამოცამდე კაცი დასჭრეს და მოკლეს.

იტალია და ბალკანეთი.

რომიდან დეპეშით გაზეთებს აუწყებენ, რომ ბალკანეთის საქმეთა ახლანდელ მდგომარეობის გამო იტალიის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იციან; თუმცა იმასაც იუწყებიან, რომ იტალია ამ ბალკანეთის საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს და გაგზავნა კიდეც დიდი საექსპედიციო კორპუსით.

ქართული პრესა.

„თანამედროვე აზრი" [illegible] რტების იძლევა ჩვენ[illegible] მიერ აჭარლთა შესახებ გადადგმულ ნაბიჯის გამო. მოგვყავს წერილი სრულათ, რადგან იგი საინტერესოთ მიგვაჩნია ჩვენი დეპუტატების სათათბიროში მოქმედების გასაშუქებლათ.

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ს. დ. ფრაქციის დეკლარაციაში, რომელიც წაკითხულ იქნა დეპ. ჩხეიძის მიერ 19 ივლისს, ე. ი. დუმის გახსნის დღეს, შესაფერი ალაგი ქონდა დათმობილი საზოგადოთ ბათუმის და ყარსის მხარეების მაჰმადიანების და კერძოთ აჭარლების საშინელ თავგადასავალს. ისიც ვიცით, რომ ფრაქციის ორატორი დეპ. ჩხეიძე ხაზ-გასმით შეეხო ამ საკითხს თავის, საერთო ხასიათის, სიტყვაში.

ჩვენს დეპუტატებს განუზრახავთ, ამის გარდა, განსაკუთრებული გამოსვლა აჭარლების შესახებ ამისათვის კი საჭირო იყო განსაკუთრებული განცხადების შეტანა დუმაში, რაზედაც ხელი უნდა მოეწერა 30 დეპუტატს.

არის ორი სახე განცხადებისა: შეკითხვა და კითხვა, პირველი 33 და მეორე 40 მუხლის ძალით. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ შეკითხვა ეხება მოხელეთა კანონშეუწყნანელ (незаконномѣрный) მოქმედებებს, მაშინ როდესაც კითხვა აღნიშნავს ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას (მაგ. შიმშილობა) და მოითხოვს მთავრობის ან პასუხს, როგორ აპირობს ის გაუმკლავდეს ამ მოვლენას. განსხვავება გარეგნულიც არის: მაშინ, როდესაც შეკითხვა, დუმის რეგლამენტის ძალით, უნდა დაისვას გასარჩევათ თვით განცხადების შეტანის დღეს, ან კიდევ არა უგვიანეს მახლობელ სხდომისა, კითხვის დასმა დამოკიდებულია პრეზიდიუმისაგან, ე. ი. როცა მას მოესურვება, მაშინ შეიტანს დუმის უწყებაში.

ჩვენს დეპუტატებს სურდათ, რა თქმა უნდა, შეკითხვის შეტანა აჭარლებზე, მაგრამ, პირველ ნაბიჯის გადადგმის უმალ აშკარათ შეიქნა, რომ კადეტები, თანახმათ მათი ახალი ტაქტიკისა, განცხადებაზე ხელს არ მოუწერდენ, უამისოთ კი 30 ხელის მომწერის შოვნა შეუძლებელი იყო.

დარჩა მეორე გზა—კითხვის შეტანა, რაც ჩვენმა დეპუტატებმა კიდეც მოიყვანეს სისრულეში 11 აგვისტოს. ეს დაგვიანება გამოიწვია იმან, რომ უმთავრესი საბუთი—გენ. პ—ის გამოძიების ასლი—ერთობ დაგვიანებით მიუვიდა დეპ.

ანი და „მესამე ბლოკი".

(ანის „ორი ბლოკის" გამო).

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 180).

4.

ორგვარი კატასტროფა.

ბ-ნი ანი ამბობს: „დოკტრინერობა უფრო ადვილია, ვინემ ევოლიუციონერობა". სჩანს ევოლიუციონერობას იგი დიდათ ეტრფის და აქედან გამომდინარე ტაქტიკაც სწორ ტაქტიკად მიაჩნია. მაგრამ, როგორც მისი „საჭირბოროტო კითხვებიდან" ვიცით, იგი არც კატასტროფას უარყოფს. იგი ჯერ ისევ 1908 წელში სწერდა: „...სახელმწიფო მექანიზმი უფრო და უფრო ეცემა თავისავე ბორბალს და მზადდება კატასტროფა. ....ერთი სიტყვით, ის დახლართული კვანძი, რომელშიაც დღეს რუსეთი იმყოფება, ვერ გადაიჭრება თანდათან, ევოლიუციონურათ.....მისი გახსნა ყოვლად შეუძლებელია, აუცილებელია მისი გაჭრა, რაც ნიშნავს ხელახალ მოძრაობას"..... (იხ. ნ. ჟორდანიას ნაწერების 524—525 გვ.). აქედან მან ერთ დროს შექმნა ორმაგი, ორპიროვანი ტაქტიკა, რომელსაც „სწორი" და უტყუარი უწოდა, ხოლო ჩვენებურათ კი „მენშევიკური" ერქვა. ეს თითქო „გამოსვლების" ტაქტიკას არ უარყოფდა და იმავე დროს „რეალურ პოლიტიკასაც" აწარმოებდა; ერთი სიტყვით დიდი ბრძნული და ჭადრაკული დიპლომატობა იყო. ბევრი ქართველი მუშა და ორჭოფა დასილი ინტელიგენტი გაიტაცა მაშინ ანის ამ სიბრძნემ და მოძრაობა მართლაც ერთ კალაპოტში ჩააყენა. ანმა და მისმა ტაქტიკამ გაიმარჯვა ჩვენში. ანი და მისი თანამზრახველნი დღესასწაულის გადახდას შეუდგნენ. მაგრამ რუსეთის ხალხს სავალალოთ ამ დროს რეაქციამაც გაშალა ფრთები და მათ დღეობას შავი ზეწარი გადააფარა!

ხუთი წლის განმავლობაში ფარხენ ისინი ასე შავ ზეწარ წაფარებულნი და, როცა მუშათა ცხოვრების ზღვამ ისევ ტოკვა დაიწყო, ისევ ზვირთი ზვირთზე ააგორა, როცა რუსეთის მუშებს „ლენის ამბების" დრო დაუდგათ, მაშინ „მენშევიკებიც" კვლავ გამოვიდნენ: იფიქრეს, ალბათ დრო დადგა გამოსვლისაო, მოაგონდათ ისევ კატასტროფა და თავისებურ ევოლიუციონურ პროპაგანდა-აგიტაციას შეუდგენ.

მაგრამ ევროპის ცხოვრების პროცესმა რუსეთის არც „ევოლიუციას" და არც რევოლიუციას აღარ დაუცადა და მას სულ სხვა გვარი კატასტროფა დაატეხა თავს. ეს არის ახლანდელი მსოფლიო ომი. რუსეთი კი თავის საკუთარი კატასტროფის გზით მიდიოდა წინ და ამ დროს ევროპის კატასტროფამ მოუსწრო მას: ეს უკანასკნელი უფრო ძლიერი გამოდგა და შეაჩერა ის.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შინაური კატასტროფა საბოლოოთ შეჩერებულიყოს და მისი მაგიერობა მეორე გვარ კატასტროფას—ომს შეეძლოს.

როგორც რეაქციის გამარჯვება-გაბატონებამ ვერ შესძლო რუსეთის კატასტროფის საჭიროების და მისი ძალების ჩაქრობა, ისე ვერც ომი შესძლებს ამას. პირიქით იგი „კატასტროფას" მთელი თავისი მრისხანე ძალებით აღტყინებას და რუსეთის პოლიტიკური სახის გარდაქმნას ხელს უწყობს, იგი ერთგვარი საშუალებაა ერთი მხრით გაბატონებულნი დათმობის გზაზე დააყენოს, ხოლო მეორე მხრით შეძლება მისცეს დაჩაგრულთ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მოიპოვონ.

ანი კი სულ სხვანაირათ მსჯელობს: მას ჰგონია: რაკი ომმა რუსეთის ბურჟუაზია „თავისი ბეშვეთურ სოროდან გამოძვრინა", ის იმასაც შეაძლებინებს მას, რომ რუსეთის ცხოვრება განაახლოს. ანი ფიქრობს, რომ რუსეთის ბურჟუაზია „ახლა კი თვით შედგა პოლიტიკურ გზაზე და ლამის თავისი წყობილება თვითონ გამოაჭედოს".

აქ სწორი და მართალია მხოლოდ ის, რომ „რუსეთის ბურჟუაზია თვითონ შედგა პოლიტიკურ გზაზე"—პოლიტიკური რეზოლიუციები შეადგინა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან „თავისი წყობილების გამოჭედვა" თვითონვე შესძლოს: იგი ამისთვის უძლურია!

და იგი უძლურია იმიტომ, რომ იგი ემყარება ბრძოლის ველზე გამარჯვებას. აქედან მოელის ხსნას; იგი სრულიათ უყურადღებოთ ტოვებს შინაგან კატასტროფას და ამ გზით გამარჯვება არცა სწამს. არ სწამს, რადგან მას ხალხის მისწრაფების ეშინია, რადგან დემოკრატიის შეგნებული ბრძოლა მას დიდათ ემუქრება.

სცდება, საოცრათ სცდება ბ-ნი ანი, როცა ამბობს, რომ „მილიუკოვის განცხადება—ბლოკი („ლიბერალების) მიმართულია წითლის და შავის წინააღმდეგო, უბრალო ტრაბახობაა, ფრაზაა, წითელი აქ არაფერს შუაშიაო"...

რუსეთის ლიბერალების პროგრამა-ტაქტიკა საზოგადოთ და კადეტების კერძოთ სულ ერთიანათ დამყარებულია რევოლიუციის უარყოფაზე, მათი „რეალური პოლიტიკა" უმთავრესათ ამ რევოლიუციის საწინააღმდეგოთ არის წამოყენებული და ახლა გვეუბნებიან ეს „უბრალო ტრაბახობაა, წითელი აქ არაფერ შუაშიაო".

და ეს თურმე იმიტომ, რომ, როცა კადეტებს „შავების" წინააღმდეგ იერიში მიაქვთ, მაშინ ისინი „წითლების" წინააღმდეგ მხოლოთ „საპოზიციო" ბრძოლას აწარმოებენ; „საპოზიციო" ბრძოლა კი ანის აზრით ფაქტიური ბრძოლა არ არის: „ბლოკი ფაქტიურათ მიმართულია „შავის" წინააღმდეგ—სწერს ანი; შეიძლება ის (ასეც სათუო ყოფილა) წითლის წინააღმდეგ წავიდეს, მარა ეს მაშინ, როცა თვით დაიჭერს შავის პოზიციას... ანს ჰგონია, რომ ბურჟუაზია, სანამ „შავების" პოზიციას დაიჭერდეს პოლიტიკაში, მანამ იგი მუშათა კლასს თითქო პოლიტიკურათ არ ებრძოდეს. ანი, ცხადია, ვერ უარყოფს იმ აშკარა ფაქტს, რომ ბურჟუაზია მოსისხლე მტერია მუშების და ებრძვის კიდეც მათ ეკონომიურათ; და ჩვენ ხომ კარგათ ვიცით, რომ „ბრძოლა ეკონომიური იმავე დროს" პოლიტიკური ბრძოლაც არის? ესეც რომ არ იყოს, განა პირდაპირ პოლიტიკაში კი ნაკლებათ ებრძვის ბურჟუაზია პროლეტარიატს?! ცხადია, რომ ებრძვის. იგი ორ ფრონტზე—„შავების" წინააღმდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე, ხოლო „წითლების" წინააღმდეგ პოლიტიკურ—ეკონომიურზე. მებრძოლი ვერასოდეს თავის შეგნებულ კლასობრივ მოპირდაპირეს ვერ შეუთანხმდება და „შავების" წინააღმდეგ მასთან ერთათ ვერ ივლის. ამიტომაც არის, რომ მან დღეს საკუთარი გზა გამოძებნა—გზა ბრძოლის ველზე გამარჯვებისა.

და როცა ამ გზაზედაც გაუჭირდა, როცა ამ გზაზე ვითომდა თავდადებული მსვლელობით ძველი მთავრობა ვერ მოხიბლა, ვერ დაიყოლია და მასთან ბრძოლაში მოკავშირე დასჭირდა, მაშინაც კი ამხედრებულ მუშებს ხმას კანკალით განუცხადა: ოღონდ დაწყნარდით და ,,თქვენი არც შემოტანილი მინდა და არც გატანილიო''. მუშებმა განაცხადეს რა პროტესტი დუმის დათხოვის წინააღმდეგ ორი დღის პოლიტიკური გაფიცვით, ორგანიზაციების მოწყობას შეუდგენ, რომ მომენტს მომზადებულათ შეხვდენ.

ბურჟუაზიამ თავი განმარტოვებულათ იგრძნო და მან მთავრობასთან ერთათ მოინდომა მუშები „კუდში გამოება:" მათ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობა მიაღებინა და ამ ნაირათ ბრძოლის ველზე რუსის ჯარის დამარცხების პასუხის მგებელი ისინიც გახადოს.

მდგომარეობა მართლაც რომ ჭადრაკულია: ბრძოლის ველზე გამარჯვებისთვის საჭიროა ორი რამ: 1) ძველი მთავრობის გამოცვლა და მის ალაგზე ბურჟუაზიული ახალი მთავრობის ჩადგომა და 2) ქვეყნის „ძალთა გაერთიანება." ორთავე ამ საქმის შესასრულებლათ საჭიროა დემოკრატიასთან დაკავშირება და მისი ამოძრავება. მაგრამ დემოკრატიის ამოძრავება ხომ ბურჟუაზიისთვისაც საშიშია და საზარალო: ამიტომ ბურჟუაზიამ დემოკრატია ისე უნდა აამოძრაოს, ისე უნდა დაიკავშიროს, რომ ეს მისთვის საზარალო არ იყოს. აი რატომ იყო, რომ ორატორი ასტროვი მოსკოვის სიეზდზე (7 სექტემბერს) ქებათა-ქებას უკალობდა მუშებს და მათი პატრიოტიზმი ცამდის აჰყავდა; აი რატომ იყო, რომ პეტროგრადში 15 სექტემბრიდან ბევრი ნეფაბრიკე—მექარხნე თვითონვე თხოვდა მუშებს კრება გამართეთ და სამხედრო—სამრეწველო კომიტეტში მუშების მონაწილეობის საკითხი გაარკვიეთო რატომ იყო, რომ გ. პლეხანოვის კერძო წერილი, რომელშიაც ის ს. დ. დეპუტატებს სახელ. ბიუჯეტის დამტკიცების სასარგებლოთ ხმის მიცემას თხოვს, მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ სიხარულით აღბეჭდა თავის ფურცლებზე: კარგათ უწყიან, თუ რაოდენი გავლენა აქვს კიდევ რუსეთის მუშათა კლასზე მის პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხენკელს განცხადებაში (ტექსტი გამოქვეყნდა სიტახტო და ადგილობრივ გაზეთებში). ნახსენები იყო მხოლოდ ის უმწეო ნივთიერი მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან ბათუმ-ყარსის მხარეების მცხოვრებნი, მათ შორის აჭარლები პირველ ხელის მომწერის, დეპ. ჩხენკელის მიზანს შეადგენდა შეხებოდა თავის სიტყვაში აგრეთვე კანონშეუწონელ მოქმედებებს, რომლის აღნუსხვა შეტანილია წერილობითი განცხადებაში, გარდა კადეტების ხელის მოუწერლობისა, ფორმალურადაც შეუძლებელი იყო.

კითხვა აჭარლების შესახებ პირველად შეტანილ იქნა საზოგადო სხდომის წესრიგში 14 აგვისტოს დღით და ამის შემდეგ ყველა სხდომებზე იყო ის დასმული: 18,22,25,28, აგვისტოს და 3 სექტემბერს.

მხოლოდ ერთ სხდომაზე, 14 აგვისტოს საღამოს, ის არ სჩანდა წესრიგში. ამ საღამოს ირჩეოდა გადმოხვეწილთა საკითხი, ამიტომ დეპ. ჩხენკელმა გადაწყვიტა წარმოეთქვა სიტყვა გადახვეწილებზე, მაგრამ უკანასკნელ წუთში ის იძულებული შეიქნა თავი შეეკავებინა, რადგან სხდომა პრეზიდიუმმა დახურულ კარებში მოაწყო და მით მას ყოველი პოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგა.

18 აგვისტოს სხდომაზე შედარებით ადრე გაირჩა წესრიგში მოყვანილი პირველი სამი მუხლი და ჯერი მეოთხე მუხლზე, ე. ი. აჭარლების საკითხზე მიდგა, მაგრამ დუმის უმრავლესობამ, მათ შორის კადეტთა ფრაქციამ, მოისურვა მერვე მუხლზე გადახტომა, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინიციატორი ამ ,,საქმე'' ნაბიჯისა კრუპენსკი იყო რომელიც არ მალავდა თავის შიშს, რომ დეპ. ჩხენკელი არ დასჯერდებოდა აჭარლების შიმშილ-წყურვილზე ბაასს და სხვა რამეებსაც ახდიდა ფარდას. დეპ. ჩხენკელმა კიდევ ზამთარში გააცნო ვრცლათ დუმის ყველა ფრაქციებს და მთავრობის წარმომადგენლებს, აგრეთვე სხვა და სხვა პოლიტიკურ წრეებს ბათუმ ყარსის მხარეებში მომხდარი ამბები,

22 აგვისტოს სხდომის წესრიგში აჭარლების კითხვა პრეზიდიუმს მეშვიდე მუხლში მოუქცევია, 18 აგვისტოს წესრიგში კი, როგორც ვთქვით, მეოთხე მუხლში იყო ის დასმული.

ესეც არ უკმარებია პრეზიდიუმს. მას მოსკოვის პოგრომის კითხვა აჭარლების კითხვის წინ მოუქცევია, ე. ი. მეექვსე მუხლში, მაშინ, როდესაც 18 აგვისტოს პირველი მეორის შემდეგ იყო მოქცეული (მეხუთე მუხლში). ამ ნაბიჯის ინიციატივა კადეტებს ეკუთვნოდა: მათ თხოვეს პრეზიდიუმს კულისებში, და ეს იმიტომ, რომ განცხადება მოსკოვის პოგრომზე მათ შეიტანეს და პირველი ხელის მომწერი კადეტი ნოვიკოვი იყო. დეპ. ჩხენკელი ამ შემთხვევაშიც შეეცადა საქმის გამოსწორებას და ამ მიზნით ჩაეწერა ორატორების სიაში კადეტების კითხვის შესახებ.

მაგრამ, ვინაიდან ამ საგანზე მხოლოდ ნოვიკოვმა მოასწრო გამოსვლა და თვით დებატები დაუბოლოვებელი დარჩა, დეპ. ჩხენკელის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

აი მოკლეთ საქმის ვითარება. დუმის უმრავლესობა და მისი პრეზიდიუმი ბევრს ეცადენ, რომ არ მიეცათ ჩვენი დეპუტატებისათვის საშუალება გაეკეთებინათ განსაკუთრებული გამოსვლა აჭარლების ჭირ ვარამის შესახებ. მათ კიდეც მიაღწიეს მიზანს, მაგრამ დროებით, რადგან შემოდგომის სესიაში ისევ დაისმება ეს საკითხი და მაშინ ისინი იძულებული იქნებიან მოისმინონ.

ჩვენში რომ ნაკლები იყოს პოლემიკა და ინფორმაციულ ხასიათის წერას მეტი ადგილი ჰქონდეს დათმობილი ჩვენს პრესაში უკეთესი იქნებოდა. ჩვენა გვგონია, რომ „თანამედროვე აზრს" ეს წერილი აქამდის უნდა გამოექვეყნებინა, რადგანაც იგი შუქსა ჰფენს, არა მარტო ჩვენი დეპუტატების მოქმედებას არამედ რუსეთის ლიბერალ ბურჟუაზიისაც.

კ. ბალმონტს.

რაღა მოგიძღვნა, არ ვიცი,
დავკარგე ოქროს საწმისი;
მედეას დაწვზე ცრემლი სდის,
შვება არ ისმის აწ მისი.

——

მაგრამ სტუმარი ღვთისაა,
კვლავ დაგიხვდები ლაღადა,
ფოთლების გვირგვინს დაგიწნავ,
ვიქცევი შვების ბაღადა.

——

ქართველურ სალამს მოგიძღვნი,
ქართველურ გრძნობა—გულითა
და ხსოვნის ვარდით შეგამკობ,
შეგამკობ თაიგულითა!

ხიმ. წველი.

რუსთაველი რუსულად.

როდესაც ბალმონტისაგან ნათარგმნს და მისგანვე წაკითხულ შოთა რუსთაველს ვისმენდი, თავში რუსული ანდაზა მიტრიალებდა: ცელი ქვას წააწყდა. შოთა რუსთაველი ქვა არის, ერთი იმ ბედნიერ ქვათაგანი, რომელსაც წინაამდეგ ლორდის ქვისა, ბუნებამ უსრულესი სილამაზე მისცა. რგვალია—ისე, როგორიც მხოლოდ ცირკულით შეგიძლიანთ ასწეროთ, ან კიდევ ისე, რომელსაც ხაზავს [illegible] წყალი, როდესაც ჩვენ მასში კენჭებს ვისვრით. და სიპია, ვით მთვარე! მაგრამ ბალმონტი—ცელი ნამდვილი ფოლადია. ის იმ სალესავით არის გალესილი ჩვენში რომ „ქასურს" ეძახიან. ბალმონტი შოთა რუსთაველს მოხვდა და ამ მოხვედრამ წკრიალა ხმა გამოიღო. როგორი იქნება ბალმონტის თარგმანი, ამის თქმა ისევე შეუძლებელია ეხლა, როგორც ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშზე სთქვა: ბიჭი იქნება, თუ გოგო! თარგმანი ჯერ პროცესში იმყოფება და შესაძლებელია ბევრი ცვლილება და შესწორება გამოიაროს თვით მთარგმნელის მიერვე, მაგრამ მიღებულია, რომ ლამაზ მშობლებს, ლამაზი ნაყოფი უნდა ეყოლოსთ და, ცხადია ორიგინალი შოთა რუსთველისა, ბალმონტის მშვენიერ თარგმანს გამოსცემს.

ამის საბუთები უკვე ეხლავე არსებობენ. მე მაოცებდა ის სიზიფის შრომა, რომელიც გაუწევია ბალმონტს. აქამდის მე მეგონა, რომ ყველაზე ძნელი სათარგმნავი დანტეს ,,ღვთაებრივი კომედია'' იყო. რითმებს დანტეს თხზულებაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს. გერმანული თარგმანი დანტეს კომედიისა ისეა დაწერილი, როგორც იწერება ორი უკანასკნელი ტაეპი სონეტისა—ეს კი დიდ სამუშაოს წარმოადგენს. მაგრამ ბალმონტმა დაგვიმტკიცა, რომ „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანი გაცილებით ძნელი ყოფილა „ღვთაებრივ კომედიაზე", მაგრამ მას უძლევია ეს სიძნელე. თარგმანი აშენებულია შინა რითმათა მუსიკალობაზე და ბოლო რითმათა დაბოლოვებაზედ. არ ვიცი, იცოდა თუ არა ბალმონტმა, რომ თითქმის ასევეა დაწერილი შავთელის ,,აბდულ მესია'', მაგრამ პირად დასკვნათაც რომ მივიღოთ პოეტისგან მიღებული ასეთი ზომა, იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რამდენათ კარგათ გაუგია ქართული ლექსის ბუნება მას და მით უმეტეს ისეთი თხზულების მუსიკა, როგორიც არის ,,ვეფხის ტყაოსანი''.

რა დაემართება იმ მარგალიტებს, რომლებიც გაბნეულია შოთა რუსთველის პოემაში? აი, რა აწუხებს ბევრს. თარგმანი რომ ორიგინალს მუდამ ჩამოუვარდება, ეს ყველა ნაწარმოების საერთო ბედია, მაგრამ არასოდეს ეს დიდ ნაკლათ არ ყოფილა არსად მიჩნეული. მხოლოდ ის იყო ბედნიერი, ვინც პირველათ სთქვა სიტყვა ,,ღმერთი''. დანარჩენები მხოლოდ ვიმეორებთ მას და ხშირად პირველ ტექსტს მოკლებულთაც—მაგრამ ღვთის დიდება ამით არასოდეს არ დამცირებულა. ასეა აქაც. ის, რაც რუსთაველმა სთქვა, ამისი ისევე თქმა, თარგმანი შეუძლებელია. მაგრამ რუსთაველი მაინც იცოცხლებს ბალმონტის თარგმანში და არ დამცირდება. მუსიკა გაცილებით სწორია, როგორც ხელოვნება, თუ კი შეიძლება ამის თქმა, მაგრამ გამეორება იქაც კი სუსტია ხოლმე. ასეა ფერადებში, მით უმეტეს ასეა სიტყვაში. მაგრამ სიტყვას აქვს სხვა თილისმა, თილისმა სულისა და აზრის შენახვისა და გადაცემისა და ბალმონტის სიტყვები კი სწორედ ამ თვისებებით არიან შემკულნი.

შ. ამირეჯიბი.

კ. ბალმონტის საღამო.

6 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში გამართულმა მგოსან კ. ბალმონტის ლექციამ შოთა რუსთაველის შესახებ დიდძალი საზოგადოება მოუყარა თავი.

თეატრის ყველა ადგილი: ლოჟები, პარტერი, ბალკონი, ორკესტრი და გასასვლელები მსმენელებით სავსე იყო. აიხადა ფარდა და ყვავილებით მორთული ოთახი გამოჩნდა სცენიდან.

მგოსანს საზოგადოება ტაშის კვრით შეხვდა, მაგრამ შემდეგ დამატყვევებელი სიჩუმე ჩამოვარდა თეატრში და პოეტი შეუდგა თავის ლექციას.

პირველად სთქვა თავისი წინასიტყვაობა, რომლის შინაარსიც იგივე იყო, რაც თბილისში წაიკითხა მან და რაც უკვე გვქონდა მოყვანილი გუშინდელ ნუმერში.

სანდრო ყალაბეგიშვილი
(წრევანდელი სეზონის გამო).

წინასიტყვაობის შემდეგ მგოსანი თვით პოემაზე გადავიდა. წაიკითხა შოთას შესავალი, პირველი თავი პოემისა, მეორე, და კიდევ რამდენიმე ადგილი.

ლექცია მგოსანმა სიტყვით დაასრულა. მთელი საზოგადოება ფეხზე იდგა და ისე გაუმართა მანიფესტაცია ძვირფას მგოსანს.

საზოგადოების დაჟინებით ბალმონტმა თავისი რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ერთი ამ ლექსთაგანი მგოსანმა 6 ოქტომბერს დასწერა ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა შორის. ლექს ,,საქართველოს'' საზოგადოება დიდის ზეიმით შეხვდა.

მგოსანს მრავალი ყვავილი და დაფნა მიართვეს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მეფის მოადგილის მოლოდინში 7 ოქტომბერს, დილიდანვე ჩვენი ქალაქი სადღესასწაულოთ ემზადებოდა. მცხოვრებლებს არა ჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობოდათ. ქუჩები ბაირაღებით და ფარჩა—ხალიჩებით მორთეს. ხალხი ბუზივით ირეოდა.

სრული 2 სათ. 10 წ. დიდი მთავარი მთელის ამალით მიბრძანდა საკათედრო ტაძარში. აქ მას მიეგება ყ-დ სამღვდელო იმერეთისა გიორგი ღ შესაფერის სიტყვით მიმართა, წმ. მოწ. დავით და კონსტანტინეს დიდი ხატი მიართვა. დიდმა მთავარმა მადლობა გადუხადა და ყ-დ სამღვდელოს ხელზე ეამბორა. საკათედრო ტაძრიდან დიდმა მთავარმა გასწია ქართულ გიმნაზიისაკენ. მისი ეზო საუცხოვოთ იყო მორთული. კარის ბჭეზე შემდეგი წარწერა იყო: ,,მშვიდობა მობრძანებასა შენსა'' მემუსიკე მოწაფეთა გუნდმა შეასრულა ,,ბოჟე ცარია ხრანი''. დიდი მთავარი შებრძანდა მისთვის საუცხოვოთ მომზადებულ ოთახში, რითაც ნასიამოვნები დარჩა დიდმა მთავარმა კეთილ ინება და განსაკუთრებულ დავთარში ჩასწერა: ,,გენერალი ადიუტანტი ნიკოლოზი. 7 ოქტომბერი 1915 წელი''.

დიდი მთავარი ქართულ გიმნაზიაში 5 წუთს დარჩა, ჩამოუარა მოწაფეებს მადლობა გადაუხადა უფროსებს და ისევ სადგურისაკენ გაეშურა. ქუთაისში დიდ მთავარს სხვა სასწავლებლები და დაწესებულებანი არ დაუთვალიერებია.

ქალაქის თეატრში დღეს, 8 ოქტომბერს, **ქართული დრამის''** ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვიქ. რიშკოვის** ცნობილი პიესა **„სახელმწიფო სადგომი''** თუმცა სათაური ვერ არის სწორედ ნათარგმნი—უნდა იყოს **,,სახაზინო ბინა.“** ავტორს პიესაში შესანიშნავად აქვს დახასიათებული ბიუროკრატიზმი და მისი მწვავე უსამართლობანი მართალია, პიესა კლასიკური არ არის, მაგრამ ზედმიწევნით საინტერესო ღ სასიამოვნო მოსასმენია. ამ პიესას დიდი გასავალი ჰქონდა და ეხლაც აქვს რუსეთის საუკეთესო თეატრებში და ქუთაისის სცენაზე პირველად იდგმება. უმთავრესი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

✦ ნ. ნიკოლაძის პენსია. ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც მიეცემა ფოთის ქალაქის თავად ნამყოფს ნიკო ნიკოლაძეს 5000 მ. პენსია.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა თავად-აზნაურთა შუამდგომლობა ონი-ქუთაისი წყალტუბო სამტრედიის შუა რკინის გზის კონცესიის შესახებ.

✦ საფიჩხიის დავით კლდიაშვილის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტის თავჯდომარემ აკაკი ნინიძემ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეთ მათ 17 ოქტომბერს, ადგილობრივ ამაღლების ეკლესიის დღესასწაულზე ყულაბით შეკრიბონ ფული სამკითხველოს სასარგებლოთ.

ველ უნივერსს მოძღვარს და დიდებულ მწერალს. პლეხანოვი ახლა მათთვის უსაყვარლესი და დიდათ პატივსაცემი მოაზრეა, ვინაიდან ის მუშებს ბრძოლის ველისაკენ მიუთითებს და რუსეთის გამარჯვებისაკენ მოუწოდებს. რას ნიშნავს ყველა ეს, რა კავშირი აქვს მებრძოლ ბურჟუაზიასთან პლეხანოვის მოწოდებას მუშებისადმი? *)

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ მებრძოლ ბურჟუაზიას უნდა რუსეთის პროლეტარიატიც იმ სამხედრო კატასტროფის მონაწილე გახადოს, რომელსაც დღეს თვითონ ემყარება და რომლის საშუალებით უნდა ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდოს და მსოფლიო ბაზარზე საპატიო ალაგი დაიკავოს.

და აი, რადგან პლეხანოვსაც რუსეთისთვის სწორეთ ეს უნდა—რუსეთის პოლიტიკურ მართვა-გამგეობას ბურჟუაზია ჩაუდგეს სათავეში და რუსეთის მრეწველობა უმწვერვალესათ განვითარდეს,—ამიტომ იგი რუსეთს ს. დ. დუმის ფრაქციასაც აქეთკენ მიუწოდებს და მუშათა კლასსაც. ეს არის რუსეთის საერთო ისტორიულნაციონალური საჭიროება, განვითარების უმაღლეს საფეხურზე რუსეთის აყვანა და ეს მისია—პლეხანოვის აზრით—დღეს მუშათა კლასმა ბურჟუაზიასთან ერთათ უნდა იკისროს: ისტორიულ უღელში ეს ორი კლასი ერთათ უნდა შეება.

მაგრამ ეს ისე კი უნდა მოხდეს, რომ მუშათა კლასმა თავისი ინტერესები არ დაივიწყოს, „თავისი ფიზიონომია არ დაკარგოს." ასე ფიქრობს ჩვენში ანიც და ორივე ამ მიზნის განსახორციელებელ საშუალებას ისე, როგორც მებრძოლი ბურჟუაზიაც, მხოლოთ სამხედრო გამარჯვებაში ხედავს.

გამოდის რომ ისტორიულ უღელში ორი მოპირდაპირე კლასი იმ პირობით ებმის, რომ თვითოეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ინტერესები არ შელახოს და თავისი საკუთარი ფიზიონომიაც შეინახოს; და მერე ეს განა მოსახერხებელია? რა ხერხით, რა თილისმით გნებავთ, რომ ეს ორი მოპირდაპირე, მოსისხლე მტერი დღეს, როცა მათი კლასობრივი თვითშეგნება საკმაო დონეზე დგას, შეაუღლოთ და ერთათ აწევინოთ ისტორიული ჰაპანი?

მართალია იყო ისეთი დრო, როცა ისტორიულ წინმსვლელობის უღელში ერთათ ებმოდა მუშათა კლასი და საზოგადოთ დემოკრატია ბურჟუაზიასთან ერთათ—მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისის და მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზია დემოკრატიასთან ერთათ იბრძოდა ფეოდალიზმის, და აბსოლიუტიზმის დასამხობათ; მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში უკვე იწყება ბურჟუაზიის განდგომა გერმანიაში, საფრანგეთში და ავსტრიაში და ეს განდგომის პროცესი იმდენათ ძლიერდება, რამდენათაც მუშათა კლასი თავის კლასობრივ შეგნებას იფართოებს და საკუთარ მოთხოვნებს აყენებს; დაბოლოს საქმე იქამდე მიდის, რომ ამ ერთ დროს მოკავშირე კლასებ შორის ნამდვილი „სამოქალაქო ომი" ჩაღდება, მაგალითად საფრანგეთში 1871 წელს „კომუნარები" მაშინდელ „საზოგადოებას" სამკვიდრო სასიცოცხლოთ ებრძვიან და მათზე გამარჯვებული ბურჟუაზიაც კლასობრივი შურის ძიებით გაძღენთილი მათი სისხლის ტბებს აყენებს პარიზის ქუჩებზე!

ამის შემდეგ კიდევღა შეიძლება მათი შეუღლება და ერთათ მოქმედებაზე ლაპარაკი? მე მგონია, რომ ამის მოლაპარაკე და ასე მოაზროვნე ყოველგვარ პროლეტარულ გრძნობას მოკლებული უნდა იყოს! მაგრამ გრძნობებსაც რომ თავი დავანებოთ და მშრალ აზროვნებას, მსჯელობას რომ მივმართოთ, აქაც აშკარათ დავინახავთ; სცდებიან, სასტიკათ ცდებიან „კლასთა კოალიციის" მქადაგებლნი!

ერთ ადგილას ანი თვითონვე ამბობს: „(რუსეთის) ბურჟუაზიას რომ მეთაურობა (მოძრაობის) შეეძლოს, მაშინ ბრძოლის მეთოდიც ბურჟუაზიული იქნებოდა... (მეორე მხრით) აშკარაა, განაგრძობს ანი, რომ პროლეტარული ბრძოლის მეთოდი არ ეთანხმება ბურჟუაზიის ინტერესებს და რაც გასაკვირველია, ის მას ბოლოს და ბოლოს უარყოფს"..

აი სრული სიმართლე ამაშია! „პროლეტარული ბრძოლის მეთოდი (გაფიცვა და სხვა) არ ეთანხმება ბურჟუაზიის ინტერესებს და ამისთვის იგი მას უარყოფს! ეს ბურჟუაზიის მხრით! ახლა მეორე მხრითაც, მეორე კლასის ინტერესების მიხედვითაც ვთქვათ. რა მდგომარეობაში ვარდება პროლეტარიატი, როცა საერთო მოძრაობის მეთაურათ ბურჟუაზია გამოდის, როგორც დღეს არის, მაგალითად, რუსეთში? რატომ არ უნდა ვიკითხოთ, თუ რამდენათ ეთანხმება მის ინტერესებს „ბურჟუაზიის ბრძოლის მეთოდი''? აი საკითხავი დღეს, ჩემის აზრით, უპირველესათ ეს არის!

5

საზოგადოებრივი ბრძოლის მეთოდი, როგორც ბურჟუაზიისათვის ისე პროლეტარიატისთვის ორგვარია: ევოლიუციონურ—კომპრომისული, რეფორმისტული და იძულებითი, პირდაპირ რევოლიუციონური. ისტორიამ იცის იმის მაგალითები, როგორც ზემოთაც ვთქვით, რომ ორივე კლასი რევოლიუციონურ მეთოდს ერთათ ხმარობდა; მაგრამ უკვე ნათლათ გამორკვეულია ისიც, რომ 1871 წლიდან საფრანგეთის კომუნარების დამარცხების და გალიფეტის შემდეგ „ერთობაც" სამუდამოთ დაირღვა და ბურჟუაზიის რევოლიუციონერობაც არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში გაჰქრა! აბა დამისახელეთ ერთი მაგალითი, რომ წინაამდეგს მოწმობდეს. 1905 წლის რუსეთის ბურჟუაზიის ხანმოკლე (17 ოქტომბრამდე) რევოლიუციონერობა მხოლოთ მის მოუმწიფებლობას და დემოკრატიაზე დამოკიდებულებას გვიმტკიცებს და არა მის ბუნებრივ რევოლიუციონერობას. ამიერიდან მისი ბრძოლის მეთოდი ანტი რევოლიუციონურია; რევოლიუციონური კლასი ერთათ ერთი პროლეტარიატი და გაღარიბებული ბურჟუაზიული დემოკრატიაა.

რუსეთის ბურჟუაზიის ხელში ერთათ ერთი რევოლიუციონური საშუალება ახლა ,,სათათბიროების'' და სხვა დაწესებულებების ბოიკოტი იქნებოდა! მაგრამ ეს ლიბერალებმა დასაწყისშივე უარყვეს. ერთი კი წამოიძახა მილიუკოვმა: ,,ბოიკოტი მაგათ: არც ერთი კაცი არ მივცეთო'', მაგრამ მალე დაფარეს მას პირზე ხელი ამხანაგებმა მაკლაკოვმა, როდიჩევმა და ათასმა სხვამ და ისიც მაშინვე ,,დადუმდა'': მათი გარევოლიუციონერების ნიმუშათ ესეც კმარა.

დახელი.

(შემდეგი იქნება).

---

*) ის კავშირი აქვს, რომ დაცვა ეროვნულის მთლიანობისა და შენახვა ერის სულისა, ერის არსებობისა—ყველა ჯგუფთა თუ კლასთა მისწრაფებაზე უფრო ძლიერია და, როდესაც ამა თუ იმ ერს მოელის რაიმე საფრთხე—საფრთხე მისი გამანადგურებელი—ყოველივე ჯგუფური ან კლასიური სულისკვეთება დაენაცვლების ხოლმე ერის თავის დაცვისას. მარტო ამითი აიხსნება ევროპის ყველა ქვეყნების სოციალისტთა უმრავლესობის განაციონალისტება, თუ შეიძლება ასე ითქვას. პლეხანოვიც, როგორც შეგნებული შვილი თავის ერისა ამ ჟამად თავის პირად, ჯგუფურ ინტერესებს **რუსის ერის საერთო** ინტერესებს უნაცვლებს. **რედ.**

მასწავლებლის დღიური

ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ხშირი მოვლენაა წარმოდგენების გამართვა სოფლად. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელმა ძალიან წინ წაიწია განათლების მხრივ. თუ უწინ მარტო ქალაქებსა და მოზრდილ დაბებში მართავდნენ წარმოდგენებს, დღეს კი ყველა ეს უბრალო სოფლებშიც ხდება. სოფლად არიან ისეთი შრომის მოყვარე და მეცადინე სცენის მოყვარენი, რომელნიც მშვენივრად ხდგამენ არამც თუ ადვილათ სათამაშო კომედიებს და ვოდევილებს, არამედ ისეთ დრამებსაც, როგორიც არის „და-ძმა“ და სხვა...

სოფლებში წარმოდგენების საქმეს უფრო ხშირად სახალხო მასწავლებლები განაგებენ, რაც მეტის მეტი სიმპატიური და საზოგადოებისათვის ფრიად სასარგებლო საქმეა. დღეს ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებაა ასეთი წარმოდგენების მნიშვნელობა სოფლად და ამიტომ ვსთხოვ ყველა ამხანაგ მასწავლებლებს (ეს მათ ზნეობრივ მოვალეობასაც წარმოადგენს), რომ იკისრონ ამ საქმეში ინიციატორობა; არ არის საკმარისი მარტო სკოლის კედლებ შუა მუშაობა და მოწაფეების აღზრდა განვითარება. მართალია, სახალხო მასწავლებლებს ამ მხრივ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები გვედობება წინ, ყველაზე უფრო ეკონომიური დაქვეითება, მაგრამ ჯერ მაინც ნუ დავყრით ნიჩბებს, ნუ შივეცემით სასოწარკვეთილებას... ვინ იცის თუ რას გვიმზადებს მომავალი... ეგებ დადგეს დრო, როდესაც ჩვენი შრომაც დაფასდება, როდესაც ჩვენი პიროვნებაც და პროფესიაც ფეხქვეშ არ იქნება გათელილი.

დიახ, როგორც ზევით ვსთქვით, წარმოდგენები ხშირია სოფლად. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სამწუხარო მიზეზები, რომელნიც სასტიკად აფერხებენ წარმოდგენების მოწყობის საქმეს. სხვათა შორის, პირველი დამაბრკოლებელი მიზეზია ნებართვის აღება ამა თუ იმ პიესის დადგმისთვის. თუ წარმოდგენის სრული შემოსავალი წითელ ჯვარს, დაჭრილთა ოჯახს, ან სხვა რომელიმე სამხედრო საჭიროებას ხმარდება, მაშინ ნებართვის აღება ისეთი ძნელი არ არის: ამისთვის მაზრის უფროსს შეუძლია, რომ ნებადართოს რომელიმე პიესას. მაგრამ თუ შემოსავალი ან ბიბლიოთეკის, ან ღარიბ მოწაფესთვის იქნება გადადებული, 1) მაშინ ნებართვის აღება ძალიან ძნელია. ამ შემთხვევაში გუბერნატორს უნდა მიმართო თხოვნით და ან ნებას არ დართავენ და თუ დართეს ერთ ორ თვეს მაინც დაიგვიანდება. მეორე მიზეზია საერთოდ პიესების უქონლობა და განსაკუთრებით კი სოფლის სცენისთვის შეხაფერი პიესების. პირადათ მე ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზია ვიარე და ერთი პიესა ვერ ვიპოვე გასაკვირია, თუ სად არის ამდენი ქართული პიესები?... უფრო ეს უკანასკნელი მიზეზი გვაფერხებს საქმეს.

ლი.

პატარა ფელეტონი.

მიწის ასული.

მშვენიერმა ვენერამ ტბაში სისხლის წვეთი დაინახა... მან პირი იბრუნა და სასოწარკვეთილების ნიშნად თავი გააქნია...

მისი პირისახე, ბრწყინავი, როგორც მზის სხივი, სამგლოვიარო ლეჩაქით დაიფარა.

არ იამა მას, რომ ქვეყნის სიავემ მასთან მიაღწია, არ ესიამოვნა სისხლის წვეთი, რომელიც ჩაგრულთა მიერ დამჩაგვრელთა წინაშე იყო დაღვრილი...

ხელი გააქნია და ტბის მოცილება უნდოდა, რომ მიწის ასულმა შეაჩერა. ვენერამ თვალებში შეხედა მას.

— რა გინდა? ჰკითხა ვენერამ ასულს.

— რა! შენ გძულს ის სისხლი, რომელიც ბედნიერების საპოვნელადაა დაღვრილი? ცრემლი, რომელიც ჩაგრულის გულის დამლბობია? შეიყვარე იგი, რადგანაც ყველაფერი ჩაგრულის მიერაა შექმნილი. თვით შენი სილამაზე დაიმსხვრეოდა, რომ ჩაგრული ერის, ლიტერატურასა და ხელოვნებას არ შეენახე. ნუ გაქვს გული ცივი, მიდი იქ და შენი ნაქანდაკივი თითებით ცრემლი შეამშრალე მას!.. უპასუხა ასულმა.

ლამაზმა ვენერამ ხელი გააქნია, ბროლის კბილები გამოაჩინა, გაიღიმა და უხილავი შეიქნა.

ასული კი დაღონებული მიწას დაუბრუნდა...

მას აქეთ ვენერასა და მიწის ასულს შუა გაწყდა კავშირი...

ასულმა გადახედა ბურუსში გახვეულ დედამიწას და დაიძახა:

—იწვალეთ, მშრომელნო, თქვენთვის სილამაზე არ სუფევს, თქვენ თქვენივე შავი ხელებით შექმენით თავისებური ბედნიერება...

და გულდაწყვეტილმა ვენერას გზისკენ გაიხედა...

იმერელი.

ჩვენ შორის.

III

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო—უთქვამთ ჩვენ ძველებს, რომ ეს თქმულება ყველას შესახებ არა სრულდება...

არიან ისეთი „შინაურები“, რომელთაც არამც თუ „შენდობა“ მოწონებაც კი დიდი აქვთ და ყველა მათ კაპრიზებს ემორჩილება. არიან ისეთი „შინაურები“ რომლებიც მოჰქცევიან სათავეში ამა თუ იმ ჩვენ დაწესებულებას, ამა თუ იმ ჩვენებურ ჯგუფს, პარტიასა თუ დასს და ამ „შინაურების“ სიმპატია—ანტიპატიაზეა დამყარებული ახალი წევრის „ცხოვრებაში გამოსვლა; „კარიერა“, ხელის წაბმარება“, „საზოგადოებაში გამოჩენება“..

თუ ამ „შინაურებს“ გული არ მოინადირე, თუ იმათ რჯულსა და რწმენაზე არ გაიარე,—გასაქანს არ მოგცემენ: გაგლანძღავენ, გაგთათხავენ, მოგისპობენ ყოვლივე სახსარს ცხოვრებისას და საკუთარ თავსაც კი შეგაძულებენ.

თუ ამ „შინაურების“ შინა ყმა არ გახდი, თუ გაუსწორი მათ აზრს, ან დაუწუნე მოქმედება,—და „ფაქტიური შესწორება „მაინც შეიტანე“—ვაი შენ დღეს—დაგწიხლავენ და შენ შრომა-მოღვაწეობას ქარსა და ნიავს მისცემენ.

თუ ამ „ინაურებს“ არ ულოლიავე და ცხოვრებაში შენი საკუთარი ხაზისა და ლარის გატანა მოინდომე,—ისეთ განგაშს დაჰკრავენ, რომ ქვეყანა დაბრმავდეს და დაყრუვდეს კიდეც.

ამბობენ ბატონ-ყმობა გადავარდაო.

— ტყუილია!

მთელი ჩვენი ცხოვრება ჯერ კიდევ ბატონ-ყმურ სულის-კვეთებით არის გაჟღენთილი!..

მართალია ძველებურათ ცოლშვილს ველარავინ აგიწიოკებს, მაგრამ ისეთ პირობებში კი ჩაგაყენებენ, რომ შენივე კბილით შენი ხორცი იგლიჯო!..

— არა გჯერათ?

როგორ არა გჯერათ, მაგრამ „პროგრესისტობა“ ნებას არ გაძლევთ, რომ დამეთანხმოთ, თუმცა კი გულში გეცინებათ.

ნაპოლეონმა სთქვა ერთის ხალხის შესახებ—ეს და ეს ხალხი, რომ გადაჰფხიკო, თათარი ამოყოფს თავსაო.

ქართველი „შინაურებიც“, რომ გადაფხიკოთ, ხელში შეგრჩებათ ისევ ის „მონური სული“, ისევ ის უკიდურესი „შენჩემობა“, ისევ ის „ნათლი-მამობა“...

ამიტომაც არის, რომ ყოველივე ჩვენი საზოგადო, საქვეყნო, საქმე შეფერხებულია, უფერულია, უგემურია...

ამიტომაც არის, რომ ჩვენში ვერც ერთმა მიმართულებამ რიგიანათ ვერ მოიკიდა ფეხი და ხალხი, მასსა ჯერაც ეძებს თავისს ნამდვილ მესვეურთ, თავისს გმირებს, თავის ნამდვილ ხელმძღვანელებს...

მაშ, როდის რა უნდა გვეშველოს?

გვეშველება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მოღვაწეობას ჩამოშორდება ყოველი სიყალბე და გზა მიეცემათ იმათ, ვინც მართლა იწვის ხალხის ცეცხლით, ვინც იდაგება ხალხის გვემით, ვისაც—საქმით სწამს ძმობა, ერთობა და არა მარტო სიტყვით...

ამისათვის კი საჭიროა მხილება ყველა ჩვენთაგანისა, მხილება სასტიკი და ულმობელი.

ამისათვის საჭიროა:—მიეცეთ ნიჭსა გზა ფართო და თავისუფლება ღირსებას.

ამისათვის საჭიროა გამოინახოს რომელიმე საზომი, რომელიმე ყალიბი ამა თუ იმ მოღვაწის მოღვაწეობის გასაზომათ, შესაფასებლად, შესამცნებათ...

როცა რომელიმე ახალგაზდა სტიპენდიის გულისათვის ეტმასნება ამა თუ იმ ჯგუფს და ეს ჯგუფიც სარგებლობს თავისი მდგომარეობით შინაყმების გასამრავლებლათ—უნდა დაიგმოს ეს ჯგუფიცა და ეს ახალგაზდაც.

როცა რომელიმე „მოღვაწე“ საკმეველს უკმევს ამა თუ იმ დაწესებულებას, ამა თუ იმ უფროსს, რომ თბილი ადგილი იშოვოს—უნდა განკიცხულ იქმნეს ერთიცა და მეორეც!...

როცა რომელიმე „მწერალი“ მხოლოდ ძლიერთა და მაძღართა გემოვნებაზე აწრიპინებს თავისს კალამს და ბოროტად ხმარობს თავისს ნიჭს,—უნდა შევაფურთხოთ ასეთ მწერლებსა და ასეთ მწერლობასაც!..

მაგრამ ჩვენ რასა ვხედავთ? ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში ვინც უფრო თვალთმაქცია, როგორც მელია, ვინც უფრო რბილია, როგორც წმინდასანთელი და ვინც უფრო გულ ჩათხრობილია, როგორც სამარე—ის არის მიღებული ყველგან და ყველასაგან...

დაუფასებლად, მწუხარებაში მოკვდა ნ. ბარათაშვილი...

შეურაცხყოფაუბედურებამ ამოხდა სული სახალხო მგოსან დავითაშვილს...

სიღარიბემ დასცარა ე. ნინოშვილი.

გაუკითხაობამ ჰკუიდან გადაიგდო ალ. ყაზბეგი.

ხელმოკლეობამ გასტეხა მთის არწივი ვაჟა-ფშაველა...

ამ დროს კი ჩვენი „ახალი მოდის, კაცნის პოეტები“ და „პარტიული მწერლები“ კი ჰქუხან და მაღლა მაღლა მიცოცავენ... ხალხის თვალში კი არა, იმათ თვალში, ვინც მათი ტოლი და სწორნი არიან.

მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ თანამედროვე პირობების გამო ცხოვრების სათავეში ხშირად სწორეთ ის უდგია ვისაც ცხვირი მეტად მოძრავი აქვს და ვინც მხოლოდ თვალთ-მაქცობაზე ამყარებს თავის პირად ბედნიერებას..

ხალხი, მასსა კი თავისი ყურმოჭრილი მონა ჰგონია...

ეს ვაჟბატონები—სხვის თვალში ბეწვსა ხედავენ და თავის თვალში კი ძელის დანახვაც არ უნდათ...

ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ჩვენი მწერალ მოღვაწენი თითებზე ჩამოითვლებიან ჩვენი ლიტერატურა ერთ თვეზე წაიკითხება, ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ადვილათ დაფასდების, ჩვენი მეოხა ერთ დღეს გამოიკვლევს,—მაგრამ უკეთესნი ჩვენ შორის მაინც ყველაზე უფრო დევნილნი და შევიწროებულნი არიან...

რათა? იმიტომ, რომ ამათ არ შეუძლიათ გამართონ „წვეულებანი“, არ შეუძლიათ მლიქვნელობა, არა სწამთ თვალთ-მაქცობა, ვერ ეჩვევიან ვისმე ფეხის ალოკვას...

გულის ფიცრით ებრძვიან ცხოვრების ტალღების გაშმბას და ცხოვრების ზღვის მოხერხებული მენავენი კი მხოლოდ მათ ეს ახვევენ თავზე ცხოვრების ჭუჭყიან ქაფს...

დახმარების ნაცვლად—ეს საცოდავნი ხდებიან ჭორების მსხვერპლად და თავის შრომის დაფასების მაგიერ, ხედავენ მხოლოდ გველის ენებს,—მათ მოსამხამათ გამოწვდილებს!

მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე! როდის მოეღება ბოლო ჩვენ საუკეთესო შვილების ტანჯვა-ვაებას? როდის ეღირსება ღირსეული შვილი თავის ერისა ღირსეულსა და ადამიანურ ცხოვრებას?...

—ვინ იცის!

ჩვენ მაინც მოვალენი ვართ თუ სხვაფრივ ვერ უშველით, ხმა მაინც ავიმაღლოთ მათდა სახსნელათ. გუშინდელს ჩვენს გაზეთში ჩვენ მოვათავსეთ წერილი ბ-ნ შალვა დადიანისა ცახელის შესახებ.

ჩვენ არ ვიცით გასჭრის თუ არა ეს წერილი, ან მიიქცევს თუ არა საზოგადოების ყურადღებას, მხოლოდ ეს კი გვწამს, რომ ცახელი დიდი აკაკის ღირსეული მემკვიდრეა. მას პირადად არავინ იცნობს მაგრამ მის სიტყვებს კი მღერის მთელი ხალხი. იგი უბინაოა როგორც ხელ-მოკლე კაცი, მაგრამ ძლიერი მესაიდუმლეა ხალხის ჭირნახულობისა!...

მაშ, მიხედეთ მას და მიეცით საშუალება რომ ხელიდან არ გააგდოს ჩანგი ხალხის გამომღვიძებელი...

მიეცით გზა ალმაფრენისა, ღირსეული სამკვიდროს ღირსეულად მოვლა პატრონობისა...

მეტს არას ვიტყვით!... დაე თვით მუზამ ცახელისამ გაალხოს გული ჩვენი გაყინული და შეაკვეცოს ფრთები ბოროტებს...

ამ მუზის პატრონს კი მიანიჭოს სახსარი ადამიანურის ცხოვრებისა!

ია ეკალაძე.

პროვინციის ცხოვრება.

ჟურნ. გაზეთ.

სოფ. ზომლეთი. ეკენისთვეში საზოგადოების ყრილობა მოხდა. ყრილობის საგანს ქურდ-ბაცაცების აღმოჩენა შეადგენდა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ვაჟბატონებს ბევრი იცნობს, ყრილობაზე ვერავინ გაბედა მათ წინააღმდეგ ლაპარაკი. მათ აღმოსაჩენათ კომისიაც იყო არჩეული, მაგრამ კომისია რას გააწყობდა, თუ მცხოვრებლები ქურდ-ბაცაცების შესახებ ცნობებს არ მისცემდნენ. ხალხმა საკუთარი კომისია გადააყენა და ისევ მამასახლისსა და ხევისთავებს დაავალა მიიღონ ყოველგვარი ზომა მათ აღმოსაჩენათ. ვნახოთ, რა შედეგი მოყვება მამასახლისისა და ხევისთავების მოქმედებას!

ჩოჩხათი, ჯურუყვეტი და ჯუმათი (გური).

ეკენისთვის ბოლო რიცხვებში ამ სამი სოფლის საზოგადოების კრება მოხდა იმის გამოსარკვევათ, თუ სად უნდა აეგოთ შენობა პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლისათვის. საშუალო ადგილის ამორჩევაში საზოგადოებები ვერ შეთანხმდნენ და ამ საკითხის გარჩევა მომავალი ყრილობისათვის გადაიდვა.

ასეთი საკითხის გადაწყვეტის დროს პირად ანგარიშებს არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ერთი მხარე უთუოდ უნდა დაეთანხმოს მეორის სამართლიან მოთხოვნას, თორემ ისე საზოგადო საქმე არ გაკეთდება. ასეთი სამართლიანი მოთხოვნა წამოაყენა მთელმა ჯუმათმა და ჩოჩხათის ორმა სოფელმა გულიანმა და ჩანჩეთმა, რომელთაც სასწავლებლისთვის საშუალო ადგილათ იცვნეს ბულუხაური, ან ჩანჩეთი. იმედია, მომავალი ყრილობა, ამ საკითხს სასურველათ გადასწყვეტს.

დ. ლანჩხუთი. ლანჩხუთის კულტურულ დაწესებულებათა შორის არის მომხმარებელი საზოგადოება, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს და დიდი მეტოქობაც გაუწია ადგილობრივ ჩარჩ-მოვაჭრეებს. ამ გარემოებამ შეაშფოთა ადგილობრივი მოვაჭრეები და სხვა და სხვა საშუალებით უნდათ მისი მოსპობა: გაუქციეს მეფურნე, წაართვეს შეგირდი, აგროვებენ ფულსა და ეპირებიან საკუთარი ამხანაგობის შექმნას ხალხის მოსატყუებლათ. ხალხმა უკვე კარგათ იცის ვინაა მისი ერთგული და ორგული.

დ. ჩოხატაური. დიდი ხნის სურვილი ჩოხატაურელებს ახლა უსრულდებათ. აქ მოკლე ხანში დაარსდება პირველ-დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის მოთხოვნილება ძლიერ დიდია. დირექტორს უკვე წარუდგინა საზოგადოებამ 600 მანეთი საჭირო ნივთების შესაძენათ. ადგილობრივი საზოგადოების სურვილი იყო სასწავლებელში ინსპექტორათ ქართველი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, სურვილი სურვილათ რჩება, რადგანაც ბ. დირექტორს ვინმე ვასილევსკი დაუსახელებია ინსპექტორათ.

ს. ვეჯინი (კახეთი). წარსულ წელს ინჟ. ქურდიანის დახმარებით აქ წყალი გამოიყვანეს, რომელიც საზოგადოებას 8000 მანეთად დაუჯდა. ვეჯინი ძალიან ღარიბია სკოლებით. არის მხოლოთ ერთი სამინისტრო სკოლა, რომელიც ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. იმედი გვაქვს, ხალხი ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას და მეორე სკოლასაც გახსნის, რომ სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები უვიცები არ დარჩნენ.

საჩხერე (შორაპნის მაზრა). კვირას, 4 ოქტომბერს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით დ. აბდუშელის რეჟისორობით წარმოადგინეს „ბატონი და ყმა“ ილია ჭავჭავაძის და ვოდევილი „მოფიქრებულია“ დ. მესხის. და ეს მეორეთ გამართეს წარმოდგენა ახლათ შემდგარმა სცენის მოყვარეთა ჯგუფმა; საჩხერის საზოგადოება ორივე წარმოდგენას მეტათ დაესწრო, თუ წარსულ წარმოდგენებზე აქაური ხალხი ფრიად გულ გრილათ ეკიდებოდა წარმოდგენებს, ახლა კი ყოველთვის თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით.

რაც შეეხება მოთამაშეებს, მათ შორის კარგათ შეასრულა თავისი როლი დ. აბდუშელმა. (გაბრიელის როლი) კარგათ შეასრულა (დათიკოს) როლი ს. გაჩეჩილაძემ. მას ხმაც ხელს უწყობს. ეტყობა, რომ ის თავის საქმეს სერიოზულათ ეკიდება.

დანარჩენები ყველანი საერთოდ ხელს უწყობდენ ანსამბლს.

სხვათა შორის, არ შემიძლია არ აღნიშნო ის გარემოება, რომ ბილეთების ფასი მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომი არაა საჭიროა თეატრის გამგეობამ ამას ყურადღება მიაქციოს და მომავალში მაინც აღარ იყოს ასეთი ზედმეტი ფასები.

შალიკო ხვადაბუნელი

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბორინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—8

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, და ბრუნდება საღამოობით. თ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან